## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 15/8

ქ. თბილისი 16. 02. 2017 წ.

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში `შემსყიდველი~, მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორეს მხრივ, შპს ,,სქუალიო საქართველო" შემდგომში `მიმწოდებელი~, დირექტორის ვლადიმირს ისაიევსის სახით.

**2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება**

2.1. ,,შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA170002061) სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში სერვერული ინფრასტრუქტურისა და მეილსერვერის დაცვის, ვებფილტრაციის სერვერის ერთიანი პაკეტისა და კომპიუტერული სამუშაო ადგილების დაცვის ლიცენზიების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV48700000) და ,,მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს ,,შემსყიდველს" ზემოაღნიშნული საქონელი 40 200 (ორმოცი ათას ორასი) ლარად (შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~).

**3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

3.1 აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტის დანართი 2-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**4. მიწოდების პირობები**

4.1. ადგილი და ვადები:

4.1.1. მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ,,შემსყიდველის" მისამართზე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144.

4.1.2 მიწოდება და ინსტალაცია განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მიღება-ჩაბარება განხორციელდება ლიცენზიების მიწოდებისა და ინსტალაციის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის (დანართი N1) საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

**6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ,,მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

**7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1. `მიმწოდებელი~ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს ლიცენზიების მოწოდება და თანმდევი მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
7.2. `შემსყიდველი~ ვალდებულია:
7.2.1. დროულად განიხილოს `მიმწოდებლის~ მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

**8.** მხარეთა უფლება
8.1. `მიმწოდებელს~ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. `შემსყიდველს~ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ხარისხის კონტროლი.
8.2.2 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

**9.** ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**10** ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული ან სხვა ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მომსახურების შეწყვეტა (სრული ან არასრული მოცულობით), და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა ვადაზე ადრე ან შეთანხმების გაფორმება.

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 1 მაისამდე.

**17. ზოგადი პირობები**

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (-ᲗᲔ გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება `მიმწოდებელთან~, ხოლო ორი – `შემსყიდველთან~.

**„შემსყიდველი“**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ს/კ – 211333957
თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. N144.
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ – TRESGE22 (220101222)
ა/ა – 200122900

ვალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე

**„მიმწოდებელი“**

შპს. „სქუალიო საქართველო“
ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. N25
სს „თიბისი ბანკი“
კოდი TBCBGGE22
ა/ა GE72TB7920136020100003
ს/კ 406042973

ვლადიმირს ისაევი
დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

მ. ჯანიაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. ქიტიაშვილი

ი. აბრამიშვილი

მ. ტყეშელაშვილი

შემსრულებელი: ნ. ბერუაშვილი